140
1963

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ცისკარი 6

140

38

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი მთლიანად დავუთმეთ სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა მხატვრულ შემოქმედებას.

მოკავშირე რესპუბლიკების საბავშვო-ჟურნალების რედაქციებს, აგრეთვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მივმართეთ თხოვნით, — გამოეგზავნათ ბავშვების მხატვრული ნაწარმოებები. მათ მოეწონათ ჩვენი თაოსნობა, გულისხმიერად მოეკიდნენ ჩვენს თხოვნას და ბევრი კარგი ლექსი, მოთხრობა, ნახატი და ნარკვევი მოგვაწოდეს.

ჟურნალის ამ ნომერზე მუშაობისას ასეთი აზრი დაგვებადა: კარგი იქნება, დაარსდეს საერთაშორისო საბავშვო ჟურნალი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ნორჩ ავტორთა საუკეთესო ნაწარმოებებს გამოაქვეყნებს. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი პლანეტის ბავშვთა ურთიერთ დაახლოვებას, ერთმანეთის გაცნობა-დამეგობრებას და დიდ წვლილს შეიტანს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მადლობას ვუთვლით ყველას, ვინც გამოგვიგზავნა თავისი ქვეყნის ბავშვთა შემოქმედების ნიმუშები.

В ознаменование Международного дня защиты детей, этот номер нашего журнала, мы полностью посвятили творчеству детей разных стран.

Мы обратились в редакции детских журналов, издающихся в Советском Союзе, а также к общественным организациям ряда зарубежных стран с просьбой прислать художественные произведения детей. Наше начинание было всеми поддержано, и мы получили много хороших стихотворений, интересных рассказов, очерков и рисунков.

В ходе работы над этим номером, у нас возникла мысль что хорошо было бы организовать издание международного детского журнала, в котором будут печататься произведения юных авторов разных стран. Это будет способствовать сближению и укреплению дружбы между детьми всех континентов нашей планеты. и тем самым внесет ценный вклад в дело укрепления всеобщего мира.

Выражаем глубокую благодарность всем, кто выслал нам образцы творчества детей своей страны.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

This issue of our magazine is wholly devoted to children's art, to mark International Children's Day, We have requested the editors of children's magazines in other republics, as well as other organ zations in many countries, to send us various works of art done by children.

Our initiative was appreciated, and in reply to our request we have been sent a great number of children's drawings, poems, short stories and essays.

While preparing this for publication, we thought it would be worth while to institute an International Children's Magazine, where young authors and artists could publish their best works. This would undoubtedly bring the children of our Planet closer together; it would help them to get to know each other better, to make friends, which would be a great contribution to the cause of peace.

We are sincerely grateful to all those who have taken the trouble to send us works of art and literature done by children of their countries.

პიონერი
ყველა ქვეყნის
ბავშვის
მეგობარია

ПИОНЕР
ДРУГ ДЕТЕЙ
ВСЕХ СТРАН

THE PIONEER IS
A FRIEND OF
THE CHILDREN
OF ALL COUNTRIES

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლენინი

ჩემთვის და შენთვის
დიდი ლენინი
ცოცხალი არის მუდამ...
საყვარელ ლენინს
ჩემთვის და შენთვის
ბედნიერება სურდა.

დიდი ლენინის
დროშა ანათებს
დიად საბჭოთა კავშირს
და ამ დროშის ქვეშ
ბედნიერია
ყველა საბჭოთა ბავშვი.

ნატაშა დედკოვა
8 წლის
მოსკოვი
Наташа Дедкова
8 лет
Москва

გივი დონღუზაშვილი, 16 წლის.
საქართველოს სსრ

Гиви Донгузашвили, 16 лет.
Грузинская ССР

## I

უგუნებოდ ვიყავი. მთელი დღე ოთახში დავბორიალობდი, ადგილს ვერ ვპოულობდი, ფორტეპიანოს მივუჯდექი. ვიფიქრე, გულს გადავაყოლებ-მეთქი, მერე ქუჩაში გასვლა დავაპირე.

ის-ის იყო კარი უნდა გამეღო, ზარი დარეკეს. გამიკვირდა. იმ დღეს არავის არ ველოდი. თენგიზი და შოთა მივლინებაში იყვნენ. გივი კი ისე იყო ჩაფლული საქმეში, რომ ორი თვე არ მენახა.

კარები გავაღე და გივი არ შემრჩა ხელში!

— არ მელოდი, ხომ?

— გელოდი კი არა, ლამისაა შენი სახეც დამავიწყდეს!.. შემოდი, შემოდი...

გივი ოთახში შემოვიდა.

— სად დაიკარგე, თავი რომ მომანატრე?

— ვმუშაობდი.

— მუშაობდი... მერე და რომელ საათამდე მუშაობ? იქნებ მითხრა — ღამის თორმეტამდე ან პირველამდეო.

— გინდ დაიჯერე, გინდ არა, ზოგჯერ ოთხამდეც კი.

ყური მქონდა მოკრული: გივი რაღაც მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობსო, მაგრამ ასე თუ იყო საქმეში ჩაფლული, არ მეგონა.

— კი მაგრამ, ისეთს რას აკეთებ?



—როგორ, არაფერი იცი?—გაკვირვებით შემომხედა გივიმ. მხრები ავიჩეჩე.

—- არა, არაფერი...

— მართლა?.. ახლავე გეტყვი, დღეს სწორედ ამისათვის მოვედი შენთან... აი, როგორაა საქმე:

ამ ზაფხულს არქეოლოგებს ვახლდი სოფელ ურბნისში. ალბათ იცი, ანტიკური დროის ქალაქია, რომელიც ამჟამად მთლად მიწისქვეშაა მოქცეული. ძველის-ძველი ნანგრევები-ღა მოგვაგონებენ, რომ ამ ადგილზე ოდესღაც დიდი ქალაქი იყო და სიცოცხლე სჩქეფდა. ადგილ-მდებარეობა და ფართობი, რომელიც მის ნანგრევებს უკავია, გვაფიქრებინებს, რომ თავის დროზე ურბნისი დიდი კულტურული ცენტრი იყო. ძველი ურბნისი ხელოვნურად შექმნილ კუნძულზე მდგარა.

კუნძულის შუაგულში აშენებულ საყდართან ბრტყელი ფილებისაგან შეკრული სამარხი ვიპოვეთ, რამდენიმე დღის შემდეგ კი მთელი სასაფლაო აღმოვაჩინეთ.

გათხრები ორ თვეს გაგრძელდა.

მუშაობა უკვე დავამთავრეთ და წამოსასვლელად ვემზადებოდით. ჩემთან ერთი ახალგაზრდა მუშა მოვიდა.

— გამარჯობა, გივი!

— გაგიმარჯოს, ქიტესა, — ვუპასუხე მე.

— მიდიხართ?

— კი, მივდივართ და, აბა შენ იცი, მიხედე აქაურობას, საქონელმა არ დააზიანოს გაწმენდილი სამარხები.

— დარდი ნუ გექნებათ, ყველაფერს გავაკეთებ... მერმისს ხომ ჩამოხვალთ ისევ?

— კი, აუცილებლად.

ქიტესა ერთ ხანს დუმდა; ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა, ხელი ჯიბეში ჩაიყო და ბრინჯაოს პატარა კოლოფი ამოიღო.

— აი... ეს კოლოფი წელან ვიპოვე გათხრების ადგილზე და თქვენ წამოგიღეთ, იქნებ რაიმე მნიშვნელოვანი იყოს-მეთქი.

ქიტესამ კოლოფი მომცა და ცნობისმოყვარეობით მომაჩერდა. მე ყურადღებით დავათვალიერე სიძველისაგან ჩამწვანებული ლითონის ნაკეთობა. იგი ძალზე სადა იყო, გვერდზე საკეტი ჰქონდა, პირველ ცდაზევე გაიღო. კოლოფში მეორე კოლოფი იყო, დანის პირით გავხაენი. შიგ რაღაც შავი საგანი იდო. ფრთხილად ამოვიღე, პერგამენტის გრაგნილი აღმოჩნდა. სიმძიმეზე მივხვდი, მასში რაღაც იყო გახვეული. პერგამენტი სათუთად გავშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე, ისე რომ არ დამტვრეულიყო და ფანჯარზე ოდნავ მსხვილი, ბროლისმაგვარი კრისტალი შემრჩა ხელთ. კარგა ხანს ვათვალიერე, ბროლისაგან დიდად არაფრით განირჩეოდა. პერგამენტზე ძველი ქართული წარწერა ჩანდა.

— ძალიან საინტერესო ნაპოვნია. — მივუბრუნდი ქიტესას, — სად იპოვე?

— ხიზანაანთ გორაზე, ასასვლელთან რომ ნაშალია, იქ მოვკარი თვალი.

— კარგად მოათვალიერე? სხვა ხომ არაფერი იყო?

— არა, სხვა არაფერი ყოფილა.

მე კვლავ კრისტალს დავხედე.

— ძალიან კარგი ჰქენი, რომ მოიტანე, — მხარზე დავკარი ხელი, — ჩვენ ახლა თბილისში მივდივართ და მომავალ ზაფხულამდე არ დავბრუნდებით. ყოველი შემთხვევისათვის იცოდე, თუ სოფელში ვინმემ რამე იპოვოს, ჩემი მისამართით გამოგზავნე. ხომ იცი ჩემი მისამართი: პუშკინის ქუჩა...

— კი, კი, ვიცი...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მშვიდობით, — გამოვემშვიდობე ქიტესას და მანქანისაკენ გავიქეცი.

II

თბილისში ჩამოვედი თუ არა, — განაგრძო გივიმ, — მაშინვე პერგამენტზე ჩანაწერის ამოკითხვას შევუდექი. ეს იყო ერთადერთი გზა მასში გახვეული კრისტალის საიდუმლოების ამოხსნისა. არც შევმცდარვარ. აი, რა ამოვიკითხე ერთი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ: „კოლოფი ესე, მემკვიდრეობითა მივიღე მე, მღვდელმა ქალაქისა ურბნისისამა, მამისა ლევანისაგანა, მემკვიდრემა თვისა მხრითა ამ კოლოფისა პაპისა იოანესაგან, გადასაცემათა თაობიდანა თაობაზედა. მითითებითა მამისა ლევანისა ვწერ, რომ კოლოფი ესე საჩუქრად გადაეცა წინაპარსა იოანესა შვილთაგანა ცისა“.

ამ წერილიდან, განსაკუთრებით ბოლო სიტყვებმა გამაოცა.

— რისთვის სჭირდებოდათ ჩვენს წინაპრებს ამ კოლოფის თაობიდან თაობაზე გადაცემა? არ მასვენებდა ეს კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემას ვერ ვახერხებდი.

დიდხანს ვიმტვრიე თავი, სანამ ამ წერილის საიდუმლოებას ჩავწვდებოდი. ყურადღებით დავაკვირდი წერილის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, ვისგან მიიღო იოანემ კოლოფი საჩუქრად. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს, „ცის შვილნი“? — იქნებ კოლოფი სხვა სამყაროდან მოფრენილ გონიერ არსებათა დანატოვარია?! ვარდისფერი კრისტალი კი — უცხო სტუმრების მიერ დედამიწაზე დატოვებული ვიმპელი?

ამ დღიდან დაიწყო ჩემი ნამდვილი წამება. უპირველეს ყოვლისა, უნდა დამედგინა კოლოფისა და თვით კრისტალის არადედამიწური წარმოშობა. პატარა კოლოფის სპექტრალური ანალიზისას, ტიტანისა და ვოლფრამის ხაზები შევნიშნე. კრისტალის გამოკვლევით დადგინდა, რომ იგი ხელოვნურად იყო დამზადებული, ეს კი, არა თუ იმ დროს, ახლაც ძლივს ხერხდება...

ამ აღმოჩენამ ფრთები შემასხა. ცხადი გახდა, რომ ვარდისფერი კრისტალი ჩვენთან სხვა სამყაროდან იყო ჩამოტანილი. მაგრამ იგი სულაც არ იყო ძვირფასი ნივთი, კოსმოსურ სტუმრებს ვინმესათვის რომ ეჩუქებინათ. როგორც ჩანდა კოლოფი რაღაც სხვა მიზნით იყო დატოვებული დედამიწაზე, მაგრამ რა მიზნით?.. ამის ახსნა დიდ შრომასა და დროს მოითხოვდა, მაგრამ მე ისე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ კრისტალზე რაღაც მნიშვნელოვანი იყო ჩაწერილი, ძალ-ღონეს არ ვიშურებდი.

არსებობს კრისტალზე ჩაწერისა და ამოკითხვის რამდენიმე საშუალება. საჭირო იყო ყველა ეს საშუალება მეცადა.

ეს მოთხრობა დაასურათა
10 წლის მიტო გორდელაძემ.
საქართველოს სსრ

Иллюстратор этого рассказа
Мито Горделадзе, 10 лет.
Грузинская ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პირველად დენით დავიწყე კრისტალის მოსინჯვა. როდესაც ამან შედეგი არ გამოიღო, სპექტრალურ დაკვირვებას შევუდექი, ბოლოს კი რადიოგამოსხივებას მივმართე; ოსცილოგრაფის ეკრანზე რამდენიმე მრუდე ხაზმა გაირბინა, რასაც წერტილებისა და წყვეტილებისაგან შედგენილი უცნაური ნიშნები მოჰყვა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს იყო ჩემი პირველი სერიოზული გამარჯვება. ახლა მთავარი ამოცანა იყო, როგორმე გამეშიფრა კრისტალზე ჩაწერილი იმპულსები, წამეკითხა სიტყვები.

ახალი ენერგიით შევუდექი საქმეს. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო კრისტალში განლაგებულ იმპულსთა სათავის პოვნა. თუ ეს მოხერხდებოდა, გაშიფვრასაც შევძლებდი. მთელი ამ ოპერაციის ჩატარება „გონიერ" ელექტრომანქანას „გენიკს" მივანდე, რადგან ადამიანის გონებას არ ძალუძს, ისე სწრაფად და ზუსტად იმუშაოს, როგორც ეს მანქანას შეუძლია.

მაგრამ თვით „გენიკსაც" კი, ორი კვირა დასჭირდა ვიდრე კრის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალში ჩაწერილ იმპულსთა დასაწყისს მიაგნებდა. ცამეტი დღე-ღამის მუშაობის შემდეგ მანქანამ, როგორც იქნა, გამოსცა ნანატრი ხმა, შიგნით რაღაცამ დაიტკაცუნა, ეკრანი აინთო და სამართავ დაფაზე პროგრამის დისკო შემოტრიალდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მანქანამ შეასრულა მოცემული პროგრამის პირველი ნახევარი და—იმპულსთა გაშიფვრას შეუდგა.

პროგრამის პირველი ნახევარი ალბათ უფრო იოლი შესასრულებელი იყო, ვიდრე მეორე, რადგან მანქანა განუწყვეტლივ ღმუოდა, ტკაცუნებდა, დუდუნებდა, ახამხამებდა მრავალფერ „თვალებს". ერთ თვეზე მეტი გავიდა, ვიდრე „გენიკი" კრისტალში განლაგებულ იმპულსთა კოდს მიაგნებდა და მათ გაშიფვრას შეძლებდა. ასე იყო თუ ისე, მანქანამ მაინც გადალახა მთავარი სიძნელე. მე უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ იგი შეძლებდა იმპულსთა გაშიფვრას.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია. დაახლოებით ოთხი დღის შემდეგ ლოგიკური მანქანის ეკრანზე წარწერა გამოჩნდა, მაგრამ „გენიკი" ალბათ არ იყო დარწმუნებული მის სიზუსტეში, რადგან წარწერა ისევ გაქრა და მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა უკვე შესწორებული და უკანასკნელად დამუშავებული ტექსტი. მანქანა აღნიშნავდა, რომ ეს იყო გაშიფრულ იმპულსებში ჩაქსოვილი აზრი...

საქმე ნელა, მაგრამ მაინც მიიწევდა წინ. ორი თვის განმავლობაში „გენიკმა" კრისტალზე ჩაწერილ იმპულსთა თითქმის მეოთხედი გაშიფრა, და ალბათ ბოლომდე მიიყვანდა საქმეს, მოულოდნელად კრისტალში იმპულსთა კოდი რომ არ შეცვლილიყო. „გენიკმა" კვლავ დაიწყო ღმუილი, „თვალების" ბრიალი, ტკაცუნი.

უკვე სამი კვირა გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ეკრანზე გარკვეულად არაფერი ჩანს, იმპულსთა მრუდეები მკვეთრად შეიცვალნენ და არაჩვეულებრივ სიხშირეს მიაღწიეს. კრისტალზე იმპულსთა ჩაწერა, ალბათ ტევადობის მიზნით, თვით იმპულსებითაა განხორციელებული, რაც ერთი-ორად ართულებს ისედაც რთულ საქმეს.

მაგრამ მე მაინც გამარჯვებულად უნდა ჩავთვალო თავი. გაშიფრულია კრისტალის თითქმის მეოთხედი ნაწილი და, იმედია, დანარჩენის გაშიფვრაც მოხერხდება.

დედამიწაზე სხვა პლანეტების მკვიდრთა სტუმრობა აქამდე მხოლოდ იმ ნიშნებით შეგვეძლო გვევარაუდა, რომლებიც მათ დატოვეს დედამიწაზე. ახლა კი თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობა კარგად არის ცნობილი სხვა პლანეტებისათვის და, ვინ იცის, იქნებ დღეს ან ხვალ კოსმოსელი სტუმრები კიდევ გვეწვიონ.

გივიმ თხრობა დაამთავრა და ისე შემომხედა, თითქოს ახლა ჩემი აზრის ამოკითხვა სურსო.

— აბა, რას მეტყვი, ანზორ, ღირდა თუ არა ამ აღმოჩენისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი წლის შეწირვა? — მკითხა მან, როდესაც დარწმუნდა, რომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ნაამბობმა.

— ღირდა თუ არარ? რა საკითხავია! — აღტაცებით ვუპასუხე მე, — ამისათვის ნახევარწელს კი არა მთელ სიცოცხლეს არ დავიშურებდი.. მაგრამ, მგონი, ყველაფერი არ გითქვამს. თუ ძმა ხარ, გამაგებინე, რისი ამოკითხვა მოხერხდა კრისტალზე, რა სწერია ზედ? სამეცნიერო ცნობებია?..

გივი ერთხანს დუმდა და პაპიროსს აბოლებდა. შემდეგ, პასუხის ნაცვლად, ჯიბიდან ორი დაბეჭდილი ფურცელი ამოიღო და გამომიწოდა.

— აი, წაიკითხე, ეს მანქანიდან ამოღებული ნაშიფრის ასლია.

ფურცლები გამოვართვი და ხარბად დავეწაფე სტრიქონებს. აზრი ბევრგან გადაბმული იყო, მაგრამ წაკითხულიდან საერთო შინაარსის გამოტანა მაინც შეიძლებოდა. ზოგან მთელი სიტყვები იყო გამოტოვებული. ლოგიკურ მანქანას ეს ადგილები წერტილებით შეევსო და ფრჩხილებში ნავარაუდევი სიტყვები ჩაესვა.

„ ჩვენ მოვფრინდით იმ ვარსკვლავთა სისტემიდან... რომელსაც თქვენ დიდი დათვის თანავარსკვლავედს უწოდებთ, — ეწერა ფურცელზე,—მოფრენის მთავარი მიზანი იყო, დაგვედგინა, არსებობდა თუ არა თქვენი (...მნათობის...) გარშემო მბრუნავ (... პლანეტებზე...) გონიერი სიცოცხლე, და თუ არსებობდა—მეგობრული კავშირი დაგვემყარებინა მათთან...

დავეშვით ქალაქის მახლობლად, რომელიც გალავნით იყო შემოზღუდული. მალე მივხვდით, რომ ვნახეთ ის, რასაც დავეძებდით, მაგრამ ძალიან ნაადრევად მოგვივიდა მოფრენა... (... ორი ათასი წლით...) თქვენ მაშინ განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იყავით.

(...დედამიწაზე...) ოთხმოც (...დღეს...) დავრჩით. ასე მალე არ გავბრუნდებოდით, მაღალგანვითარებულ საზოგადოებისათვის რომ მიგვეკვლია. მაგრამ ჩვენ მაინც კმაყოფილნი წავედით, რადგან შევხვდით გონიერ არსებებს...

უკან გაბრუნებისას გადავწყვიტეთ, ისეთი რამ დაგვეტოვებინა, რაც შემდგომში სამსახურს გაგიწევდათ. ამ მიზნით, კრისტალზე დავწერეთ ჩვენი ცოდნის დიდი ნაწილი და დედამიწაზე დავტოვეთ. თუ ჩვენი დანატოვარი თქვენამდე, ე. ი. მაღალგანვითარებულ კაცობრიობამდე მოაღწევს, იგი დიდ დახმარებას გაგიწევთ ცოდნის შემდგომ ამაღლებაში... მისი დახმარებით თქვენ გაიგებთ, როგორ გაანთავისუფლოთ ნივთიერებაში მომწყვდეული ენერგია და როგორ გამოიყენოთ იგი ადამიანთა საკეთილდღეოდ; როგორ დაშალოთ ატომი და როგორ გამოიყენოთ მისი აურაცხელი ენერგია; როგორ ააგოთ კოსმოსური ხომალდები და როგორ დაიპყროთ სამყარო..

დედამიწელნო! თქვენგან ჩვენ გავფრინდებით სხვა პლანეტების



მთვარეზე
НА ЛУНЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსაკვლევად და, ვინ იცის, მოგვიწევს თუ არა კიდევ თქვენს მშვენიერ (...პლანეტაზე...) დაბრუნება. მაგრამ თქვენს შესახებ ჩვენი შვილიშვილები, შვილთაშვილები გაიგებენ და ისინი გესტუმრებიან, ჩვენ გვჯერა, რომ მაშინ დედამიწა სულ სხვაგვარი იქნება: აიგება ფაბრიკები და ქარხნები, გადაიჭიმება წყეთილმოწყობილი გზები, აშენდება კოხტა და ლამაზი ქალაქები, მაგრამ შეიძლება სხვაგვარადაც მოხდეს — ქალაქები ფერფლმა და მტვერმა დაფაროს, მინდვრები და ტყეები — ხრიოკებმა და უდაბნოებმა.

ჩვენ არაერთი გვინახავს ოდესღაც სიცოცხლით მჩქეფარე პლანეტა, რომელიც შემდეგ ნანგრევებად ქცეულა... გახსოვდეთ, რომ მარტო მშვიდობას შეუძლია მოგცეთ ის, რისთვისაც იღწვით. თავისუფლება, ერთიანობა და ბედნიერება მშვიდობის განუყრელი ძმები არიან. განვითარებული ტექნიკის პირობებში ომი საკუთარი თავის წინააღმდეგ გალაშქრებაა.

ჩვენ კარგად ვიცით გონიერი სიცოცხლის განვითარების პროცესი. ერთ დროს ჩვენც ველურები ვიყავით. სულ ტყუილა ვხოცავდით ერთმანეთს. გადიოდნენ წლები. სულ უფრო და უფრო მეტ ცოდნას ვიძენდით და თანდათან ვთავისუფლდებოდით მხეცური ინსტიქტებისაგან. ჩვენშიც იყვნენ მდიდრები და ღარიბები, ბატონები და ყმები. მაგრამ დრომ თავისი მოჰქონდა. დაჩაგრულმა კლასმა ხმა აღიმაღლა, თავისი საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა, სამუდამოდ განთავისუფლდა. მაგრამ ის, რაც ჩვენთან მოხდა, შეიძლება თქვენთან არ მოხდეს. შეიძლება ჩვენგან განსხვავებით, თქვენში განთავისუფლდეს (...პლანეტის...) ერთი ნაწილი, მეორე კი ერთ ხანს მჩაგვრელთა უღელქვეშ დარჩეს. ამრიგად, იქნება ორი მტრულად განწყობილი ბანაკი. სულ უმნიშვნელო კონფლიქტმა შესაძლოა კატასტროფამდე მიგიყვანოთ, მთლად მოისპოს სიცოცხლე. თუ თქვენში კიდევ არსებობს ომის წარმოშობის მიზეზები არ დაზოგოთ ძალები... ომი თავიდან აიცილეთ..."

ამ ადგილას ნაწერი წყდებოდა. მე გაკვირვებით გადავხედე გივის.

— როგორ, მარტო ეს არის? — ვკითხე არაჩვეულებრივი ამბით გაოცებულმა.

— განა ეგ ცოტაა? — კითხვითვე მიპასუხა მან.

— არა... ცოტა არ არის, მაგრამ...

გივი სავარძლიდან წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— დიახ, შენ სწორს ამბობ, — თქვა მან ბოლოს, — ეს მართლაც გაშიფრული ტექსტის მხოლოდ ნახევარია. მეორე ნახევარს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დამუშავება აკლია და ლოგიკური მანქანის განკარგულებაში იმყო-

ვოვა პაკუსინი, 12 წლის.
უკრაინის სსრ
Вова Пакусин, 12 лет.
Украинская ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფება. მისი შინაარსი მეც არ ვიცი, ასე რომ, ვერაფერს გეტყვი. მიუხედავად ამისა, ახლა უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, უფრო სწორად — ექნება, კაცობრიობისათვის ამ აღმოჩენას. წარმოიდგინე, იმის გაკეთება რომ შევძლოთ, რასაც ჩვენი „ციური ძმები“ გვირჩევენ, მაშინ ცხოვრება ზღაპარს დაემსგავსება: რამდენიმე ჭიქა წყალი აამუშავებს ელექტროსადგურს, ერთი ტონა საწვავით შევძლებთ გავფრინდეთ სხვა სამყაროთა გამოსაკვლევად, რამდენიმე ათასი ტონა ნივთიერება შესაძლებლობას მოგვცემს დედამიწის მოძრაობა ვმართოთ.

გივი ოცნებამ გაიტაცა. მე მჯეროდა მისი. მის ლაპარაკში, გამოხედვაში იყო იმდენი მისწრაფება ახლისადმი, იმდენი რწმენა ადამიანის უძლეველობისადმი, რომ მე ჩემდაუნებურად გადამედო მისი მიზანსწრაფვა. მან ბევრი ილაპარაკა კოსმოსზე, პლანეტებზე, ბუნების ძალების საბოლოო დაპყრობაზე, რაც შესაძლებელი გახდებოდა კრისტალის საბოლოო გაშიფვრის შემდეგ.

ყოველივე ის, რასაც წინათ ვერც კი წარმოვიდგენდით, ახლა შესაძლებელი მეჩვენა.

იმ დღეს გვიანობამდე ვისხედით. გივიმ ბევრი რამ ისეთი მიამბო, რაზედაც წარმოდგენა არ მქონდა. მელაპარაკა კიბერნეტიკაზე, ასტრობიოლოგიაზე. მისგან გავიგე, რომ დღევანდლამდე არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი იყო მრავალი ისეთი რამ, რაც უცხო სამყაროდან მოფრენილი გონიერი არსებების დედამიწაზე ყოფნაზე მიუთითებდა, მაგრამ ყოველივე ეს ძალიან მცირე საბუთი იყო და გადაჭრით რაიმეს თქმა დღემდე ძნელდებოდა. ასეთ საბუთებად მან მოიყვანა თხუთმეტი ათასი წლის წინათ ტყვიით გახვრეტილი ხარის თავი, ახლახან შემთხვევით ნაპოვნი აფრიკის ტყეებში; ძველი ბიბლიური წიგნები, სადაც ნათქვამია „ცეცხლით მხუნთქავი გველეშაპის მოფრენის შესახებ დედამიწაზე“ და მრავალი სხვა. ყოველივე ამით იგი ამტკიცებდა, რომ ბოლოს და ბოლოს დედამიწაზე სხვა სამყაროელთა ყოფნის ვარაუდი გამართლებულად უნდა მივიჩნიოთო.

გივი გვიან ღამით წავიდა.

იმ ღამეს არ მძინებია. ფიქრები არ მასვენებდნენ. თვალწინ ხან ჯადოსნური კრისტალი მედგა, ხან დედამიწაზე მოფრენილი ვარსკვლავმფრენი, თავისი მამაცი ეკიპაჟით.

„ჩვენ გავფრინდებით სხვა სამყაროთა გამოსაკვლევად და, ვინ იცის, კიდევ მოგვიწევს თუ არა თქვენს მშვენიერ პლანეტაზე დაბრუნება? მაგრამ თქვენს შესახებ გაიგებენ ჩვენი შვილიშვილები, შვილთაშვილები და ისინი გესტუმრებიან...“

ოცნებით მოქანცული ბურანში გავეხვიე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ურემი
АРБА

რევაზ ანთიძე, 10 წლის.
საქართველოს სსრ

**Реваз Антидзе**
Грузинская ССР

ზამთარი

ЗИМА



ირინა ზორინა, 6 წლის.
რსფსრ

Ирина Зорина, 6 лет.
РСФСР



ზადრაუსკაიტე, 7 წლის.
ლიტვის სსრ

Задраускайте, 7 лет.
Литовская ССР

სპილო

СЛОН

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენ, ბავშვებო!

ლუბოვ ვერბოვაია, 11 წლის.
უკრაინის სსრ

Любовь Вербовая, 11 лет.
Украйнская ССР

— ვინ ელის საგმირო ასპარეზს,
ვინ უნდა ესტუმროს ვარსკვლავებს?—
— ბავშვები!

— ვინ უნდა გაიყვანოს არხები,
ვინ უნდა ააშენოს ქარხნები? —
— ბავშვებმა!

— ვის უნდა ეჭიროს ზვიადად
სამშობლოს დროშა დიადი?—
— ბავშვებს!

— სიმღერის ხალისი—ჩვენია!
ლამაზი სიცოცხლე—ჩვენია!
მომავლის დღეები—ჩვენია!—
ბავშვებო!



ზანგი ქალი

НЕГРИТЯНКА

სედა ბეკარიანი, 9 წლის.
სომხეთის სსრ

Седа Бекарян, 9 лет.
Армянскал ССР



ირაკლი ზედგენიძე,
7 წლის.
საქართველოს სსრ

Ираклий Зедгенидзе,
7 лет.
Грузинская ССР

ველორბოლა

ВЕЛОГОНКА



ზაზა მიმინოშვილი,
9 წლის.
საქართველოს სსრ

Заза Миминошвили,
9 лет.
Грузинская ССР

ვეფხვი

ТИГР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სინანული

მანანა შამფრიანი, 14 წლის.
საქართველოს სსრ

Манана Шамприани, 14 лет.
Грузинская ССР

მზე ნელ-ნელა ამოვიდა, ამოგორდა და გააბრწყინა ნამიანი ბალახი, ხეთა კენწეროები, მდინარის ნაპირი და თოვლიანი მთები.

სუსხიანი დილაა, მაგრამ მაინც ზაფხულია. ხეთა ჩრდილები ისე დაგრძელებულან, თითქოს ვიღაცას გაუწელიაო.

ტყის პირას მიჰქრის მატარებელი. ჩრდილები უცებ შეახტებიან ვაგონებს და ისევ ჩამოხტებიან.

მიჰქრის მატარებელი და მიაქროლებს გამხდარ, თაფლისფერთვალება ბიჭუნას, რომელიც მკერდგადაღეღილი მიმდგარა ვაგონის სარკმელთან და ხარბად ისუნთქავს დილის სუფთა ჰაერს; ბიჭი გაჰყურებს მდინარეს და ახსენებდა შარშანდელი ზაფხული...

...პიონერთა ბანაკიდან თბილისში მიმავალმა თამაზმა ბებიას გამოუარა.

იმ დღესვე თავის კბილა ნუგზარს საბანაოდ გაჰყვა.

— გამარჯობათ, ბიჭებო!—მიესალმა თამაზი მდინარის პირას წამოწოლილ ბიჭებს.

— გაგიმარჯოს!—მიუგეს ბიჭებმა თამაზს და წამოიშალნენ, ხელი ჩამოართვეს; შემდეგ დასხდნენ და ერთმანეთი მოიკითხეს.

— ცურაობა ხომ არ დაგავიწყდა?—ჰკითხა თამაზს ავთანდილმა.

— რა დამავიწყებდა! გახსოვს, შარშან რომ გაჯობე?

— ის შარშან იყო, აბა ახლა გამეჯიბრე!

— გაეჯიბრე!—შეაგულიანეს თამაზი სხვებმაც.

— რატომაც არა!—წამოხტა თამაზი...

ჯერ მხარდამხარ მიცურავდნენ, მაგრამ უცებ თამაზი ჩამორჩა და დაიყვირა!

— მიშველეთ!

თამაზის ყვირილი რომ შემოესმა, ნუგზარი მაშინვე წყალში გადაეშვა.

— ნუ გეშინია!— შეუძახა ნუგზარმა. დიდი ვაი-ვაგლახით ნაპირზე გამოიყვანა და ბიჭებს დაუძახა,—მომეხმარეთო!

— თავდაღმა დავიჭიროთ, უთუოდ წყალი ექნება ნაყლაპი...

ცოტა ხნის მერე, ფერდაკარგული თამაზი, ლასლასით მიჰყვებოდა შინისაკენ მიმავალ ტოლებს.

* * *

მეორე დღეს კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა.

წვიმდა გადაუღებლად. თამაზი გარეთ არ გამოსულა, არც ნუგზარი ჩანდა. წვიმა ღამეც არ შეწყვეტილა.

ის იყო ტანთ ჩაიცვა თამაზმა, რომ ნუგზარმაც დაიძახა. თამაზმა გახედა.

— შემოდი, ნუგზარ.

— დრო არა მაქვს. წუხელ ხბოები არ მოსულან შინ, ალბათ ტყეში დარჩნენ. წამომყევი რა, საძებრად მივდივარ.

ნაწვიმარი იყო და ხეების ქვეშ რომ გაგევლო, ღეშხი დაგასველებდა.

— ბებიას ვკითხავ, — უთხრა თამაზმა და შინ შევიდა.

დერეფანში გაჩერდა, ფანჯარასთან. ფანჯრიდან მოჩანდა ნისლში გახვეული ტყე. თამაზმა წარმოიდგინა, როგორ გაილუმპებოდა ქვავიან ტყეში. უსიამოვნოდ გააჟრჟოლა. გაიფიქრა: — ჩემი წასვლა რა საჭიროა, მარტოკას რა უჭირს? სანამ მე არ ვიყავი აქ, ხომ მარტოკა დადიოდა? — ერთ ხანს კიდევ იყოყმანა; შემდეგ აივანზე გამოვიდა.

— არ გამომიშვა და რა ვქნა!

ნუგზარს ხმა არ ამოუღია, მიტრიალდა და წავიდა.

საღამოს ბებიამ თამაზი სადგურამდე გააცილა და თბილისში გაისტუმრა...



გაზაფხული
BECHA

ვიქტორ ნაროჩნი, 8 წლის.
უკრაინის სსრ

**Виктор Нарочный, 8 лет.**
Украйнская ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

...თბილისში თამაზს ხშირად გაახსენდებოდა ხოლმე, როგორ გადაარჩინა იგი ნუგზარმა, თვითონ კი უბრალო რამეზეც უარი უთხრა.

„იპოვა თუ არა ხზოები ნუგზარმა?“

უნდოდა წერილი მიეწერა, მაგრამ...

* * *

ამ ზაფხულს თამაზი პიონერთა ბანაკში აღარ წავიდა.

და აი, საცაა მატარებელი შეჩერდება. თამაზი ჩამოვა და აუყვება აღმართს სოფლისაკენ.

„ვნახავ ჩემს საყვარელ ბებიას. ბიჭები... მდინარე... ბანაობა... სამწყემსური...ნუგზარს არაფერზე უარს არ ვეტყვი, სულ მასთან ვიქნები... ნეტა, როგორ შემხვდება?“

შეკრებაზე
НА СБОРЕ

მარტა უმელასი, 7 წლის
ესტონეთის სსრ



Марта Умелас, 7 лет.
Эстонская ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარია, 7 წლის.**
პოლონეთის
სახალხო რესპუბლიკა

**Мария, 7 лет.**
Польская
Народная Республика



ყავა
КОФЕ

ფისოები
КОТЯТА



**თამარ კუპრაშვილი,**
**5 წლის.**
საქართველოს სსრ

**Тамара Купрашвили,**
**5 лет.**
Грузинская ССР



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ამაზე ოცნებობდა ლენინი

კატია კვიტნიცკაია
უკრაინის სსრ
**Катя Квитницкая**
Украинская ССР

იდგა დღეები მშვიდობის თუ დღეები რისხვის,
როცა მტარვალებს ბრძოლის ველზე ვუტევდით მარჯვედ,
ყველგან და მარად ერთი იყო ოცნება მისი,—
ულამაზესი მომავალი ჰქონოდათ ბავშვებს.
ის ოცნებობდა მშვიდობიან შრომაზე ქვეყნად
და სიხარულზე ოცნებობდა ბელადი ბრძენი,
ჩვენზე ფიქრობდა, მეგობრებო, ვინც ვცხოვრობთ ახლა,
მას ბედნიერი მომავალი ჯეროდა ჩვენი.
ის, მომღიმარი, ოცნებობდა უღრუბლო ცაზე,
მზიან დღეებზე ოცნებობდა ბელადი მარად,
ის ოცნებობდა კომუნისტთა ღირსეულ ცვლაზე,
სურდა—გვებრძოლა სახელოვან მებრძოლთა დარად.
ახლა, როდესაც განიკურნა ჭრილობა მძიმე,
როცა ხალხები საბჭოეთში ცხოვრობენ ლხენით,
როცა გეგმები ახალ-ახალს ბადებენ იმედს,—
განხორციელდა საუკუნო ოცნება ჩვენი.
მზიანი ცის ქვეშ გრგვინავს ჩვენი მზიური მარში,
პიონერული შეძახილი ვრცელდება ელვად;
კომუნისტების ცვლად იზრდება ყოველი ბავშვი,
როგორც ილიჩმა გვიანდერძა, ბელადმა ბრძენმა!

ხოზე დიასი
კუბა
**Хозе Диас**
Куба

# ჩემი წერილი




მე მამას წერილი გავუგზავნე:
„მამიკო! მე ძალიან ბევრს ვმეცადინეობ. კარგად ვსწავლობ. მინდა კარგი კაცი გამოვიდე. შენ რომ მოხუცდები—გეტყვი: „დაღლილი ხარ, დაისვენე, ნუღარ იმუშავებ—მე გარჩენ“.

ვაგან კოჩარი
სომხეთის სსრ
**Ваган Кочар**
Армянская ССР



მწყემსი

ПАСТУХ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



არსენა
АРСЕН

რამაზ მაისურაძე, 11 წლის.
საქართველოს სსრ

**Рамаз Маисурадзе, 11 лет.**
Грузинская ССР

ვიოლეტა დავთიანი, 9 წლის.
სომხეთის სსრ

**Виолета Давтян, 9 лет.**
Армянская ССР



კატა
КОТ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაული
ПРАЗДНИК



ტანია სედინა, 4 წლის.
უკრაინის სსრ

**Таня Седина, 4 года.**
Украинская ССР



წიწილა
ЦЫПЛЕНОК

ვალტერი, 13 წლისა.
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა

**Вальтер, 13 лет.**
Польская Народная Республика

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნაური შეხვედრა

ჰაჯიაკბარ შაიხოვი, 16 წლის.
უზბეკეთის სსრ

**Гаджиакбар Шаихов. 16 лет.**
Узбекская ССР

ჩვენს სკოლას ლენინი ესტუმრა...

სიყვარულით გვათვალიერებდა, შეკითხვებს გვაძლევდა, გვიღიმოდა, გვეფერებოდა.

აი, მე მომიახლოვდა. გულმა ფანცქალი დამიწყო.

— გამარჯობა, დილშოდ! — (მე გამიკვირდა, საიდან უნდა ცოდნოდა ლენინს ჩემი სახელი) — როგორ მიდის სწავლის საქმე, „ორიანი“ ხომ არ გყავს?

მთელ ტანში დამცეცხლა. მე მართლა მყავდა „ორიანი“. სიმართლე ვუთხრა? — სირცხვილია! ტყუილი ვთქვა? — ესეც სირცხვილია! ვერა, ლენინს ტყუილს ვერ ვეტყვი. მაგრამ... სიმართლის თქმაც მიჭირს.

სახეზე ალმური მეკიდებოდა. თითებს ვიმტვრევდი.

თავი ავსწიე და ლენინს შევხედე. მეგონა — დამტუქსავდა, მან კი გაიღიმა და თავზე ხელი გადამისვა. ვიცოდი, რომ ლენინი მიხვდა, რატომ ვგრძნობდი თავს უხერხულად. მიწა რომ გამხეთქოდა — ის მერჩივნა, მაგრამ რას ვიზამდი.

ლენინმა ერთხელ კიდევ გადამისვა თავზე ხელი და... წავიდა.

თვალთ დამიბნელდა და ცრემლები წამსკდა, მერე თავბრუ დამეხვა და... ლოგინიდან იატაკზე მოვადინე ბრაგვანი. დიახ, ეს თურმე სიზმარი იყო. მთლად ოფლში ვცურავდი. წამოვდექი. სასთუმალთან იდო წიგნი „მოგონებანი ლენინზე“, რომელსაც დაძინების წინ ვკითხულობდი.

საყვარელ ლენინთან ამ უცნაურმა შეხვედრამ მე დამაფიქრა...

იმ დღის მერე „ორიანი“ აღარ მიმიღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მშენებლობაზე
НА СТРОЙКЕ

**სტანისლავ ჩითანავა, 14 წლის.**
საქართველოს სსრ

**Станислав Читанава, 14 лет.**
Грузинская ССР

**რამაზ საყვარელიძე, 11 წ.**
საქართველოს სსრ

**Рамаз Сакварелидзе, 11 лет**
Грузинская ССР

## ყაყაჩოების ველი

ეს რა ქარია,—
რის სადარია,
რამ გადარია:
არივ-დარია
ეს ამოდენა
ლალის სადარი
ყაყაჩოები!

ეს რის დარია,
რის სადარია,
რომ გიზგიზებენ—
ეს ამოდენა
ლალის სადარი
ყაყაჩოები!

თითქოს ამ ველმა,
ზურმუხტის ფერმა,
სისხლი დალია,
რომ არ დალია
ეს ამოდენა
ლალის სადარი
ყაყაჩოები!

ვითომ ლალია,—
ცეცხლის ალია!..
რამ ააფეთქა
და გადარია
ეს ამოდენა
ლალის სადარი
ყაყაჩოები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოვლის ბრალია

დილით, ვახტანგმა და თენგიზმა ტანთ ჩაიცვეს და ფანჯარასთან მივიდნენ,— რაფაზე ბურთი ეგულებოდათ. გადასწიეს ფარდა და...

— თოვლი მოსულა! — ერთხმად შესძახეს. მერე, დედის დაუკითხავად ეზოში გაიქცნენ. ეწყინა ბურთს,—განა ისეთი რა ნახეს ჩემმა ძველმა მეგობრებმა, რომ ზედაც არ შემომხედეს და ისე მიმატოვესო. დამწუხრებულმა თავი ვეღარ შეიკავა და ფანჯრის რაფიდან ძირს გადმოვარდა...

ოთახში ბიჭების დედა შემოვიდა. ბურთი შიგ ფეხებში გაებლანდა.

— სულ ასე იქცევიან, მიატოვებენ, თავის ადგილას არ ინახავენ!— გაიფიქრა მან და მერე ბიჭებს გასძახა, მაგრამ რაკი არავინ არ გამოეხმაურა, თვითონ ჰკრა ფეხი ბურთს და კუთხეში მიაგდო.

ბურთიც აღარ განძრეულა. იყო კუთხეში თავისთვის, ჩუმად. აღარავის აწუხებდა. აღარ ისმოდა დედის ჩივილი; — ბურთს გადაყვნენო. სამაგიეროდ, გამიცივდებიანო,—ისმოდა ხშირად.

გაიბუტა ბურთი. დაემდურა თავის ძველ მეგობრებს. აბა, რა იცოდა მან, რომ ყველაფერი თეთრი თოვლის ბრალი იყო.

მარინე მაჭარაშვილი, 15 წლის.
საქართველოს სსრ

**Маринэ Мачарашвили, 15 лет.**
Грузинская ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშკეტერი
МУШКЕТЕР



მიტო გორდელაძე, 10 წლის.
საქართველოს სსრ

**Мито Горделадзе, 10 лет.**
Грузинская ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვიმიან საღამოს

საღამოს ცხრა საათი იყო. მე უკვე დავამთავრე დამოუკიდებელი მეცადინეობა კლასგარეშე ჯგუფში და სკოლიდან გამოვედი. კოკისპირულად წვიმდა. ქოლგა გავშალე და თავდახრილი შინისაკენ გავეშურე. ქუჩაში თითო-ოროლა გამვლელიღა ჩანდა. მხოლოდ წვიმა და ჩემი ფეხის ხმა არღვევდა სიჩუმეს.

ის იყო ჩვენი ქუჩისაკენ შევუხვიე, რომ ქოლგა რაღაცას დაეჯახა. შევკრთი და თავი ავწიე. ჩემს წინ, მხარზე მოგდებული ფუთით, ვიღაც უცნობი ქალი იდგა, იგი ერთიანად გაწუწული იყო, თმებიდანაც წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. შევნიშნე,— ქალი ძალიან ღელავდა. ეტყობოდა, ვიღაცას ეძებდა. მივედი ახლოს, ქოლგა დავახურე და თავაზიანად ვკითხე:

—ვის ეძებთ?

—დედას.

—სად ცხოვრობს?

—სოფელ უიდაიცუნში.

—მერე, აქ რა გინდათ? ეს ილეს შესახვევია.

—ილეს შესახვევი, —გაიმეორა ქალმა.—უიდაიცუნში მხოლოდ ერთხელ ვიყავი, სამი წლის წინ. მას მერე ისე შეცვლილა აქაურობა, რომ ვეღარ მიპოვნია დედაჩემის სახლი. კეთილო გოგონა, დამეხმარე, მაპოვნინე,— მთხოვა ქალმა და ფუთას მხარი შეუნაცვლა.

—კეთილი,—მივუგე მე,—ოღონდ, სახლის ნომერი მითხარით.

ქალმა თავი გააქნია.

—არ ვიცი, რომელი ნომერია. მახსოვს მხოლოდ, რომ იმ შენობის წინ მაღალი ალვის ხე დგას, გვერდით რუ ჩაუდის.

როგორ გვეპოვა სახლი, თუ ნომერი არ ვიცოდით! რამდენია უიდაიცუნში შენობა, რომლის წინაც ალვის ხე დგას. ეძებე ნემსი ზღვაში! შევყოყმანდი. წვიმამ კაბა სულ დამისველა, ყელსახვევიდანაც წყალი წვეთავდა. მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, რომ მე პიონერი ვარ და უნდა დავეხმარო გასაჭირში მყოფს. ამიტომ გადაწყვეტით ვთქვი:

—წავიდეთ, უსათუოდ ვიპოვით.

უიდაიცუნის გზაზე ქვაპი იდგა, ერთგან ფეხი დამისხლტა, დავეცი და მინის ნატეხზე ხელი გავიჭერი, მაგრამ ხმაც არ ამომიღია, ისე წამოვდექი.

ბევრი ვიარეთ. ხან ერთ შენობას მივადგებოდით, ხან მეორეს...

იან ბურტი, 15 წლის.
ინგლისი

**Ян Бурт, 15 лет.**
Англия



ჩრდილოეთის ქუჩა
СЕВЕРНЯ УЛИЦА

ჯული გაგვიტყდა, მაინც განვაგრძობდით ძებნას. უეცრად, ქალი ერთი სახლის წინ შეჩერდა, დააკვირდა ალვის ხეს, პატარა რუს და მღელვარებით შეჰყვირა:

—ეს არის! ვიპოვეთ!

კარზე დავაკაკუნე.

—ვინ არის?—მოისმა შიგნიდან. ქალმა იცნო დედის ხმა და სწრაფად უპასუხა:

—მე ვარ, დედა, იუ ხუანი.

ოთახში შუქი აინთო და კარი გაიღო. ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, ქალმა ფუთა ძირს დააგდო და პატარა ბავშვივით ჩაეხუტა დედას, თან სიხარულისაგან ატირდა, ამ სურათის დანახვამ მეც ამაღელვა.

გამოვტრიალდი, ისევ წვიმდა. მაგრად მოუჭირე ხელი ქოლგას და სახლისაკენ მოვკურცხლე.

უან გუნ-ჟუნი, VI კლასი.
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

**Уан Гун-Жун, VI класс.**
Китайская Народная Республик.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამაზ ონიანი, 10 წლის.
საქართველოს სსრ

**Рамаз Ониани, 10 лет.**
Грузинская ССР

სვანეთი
СВАНЕТИЯ

## მანია და პიკუში

ძანიას ერთი პატარა ძაღლი ჰყავდა, სახელად—პიკუში. ერთხელ მანიამ უთხრა პიკუშს:

—წამო, გავისეირნოთ.

პიკუში სიხარულისაგან შეხტა-შემოტრიალდა,—იგი პირველად მიჰყავდათ სასეირნოდ.

—ოღონდ,— გააფრთხილა მანიამ პიკუში,—თუ გინდა სასეირნოდ წაგიყვანო, ჯერ უნდა მიპასუხო: რამდენი იქნება, ორს რომ მივუმატოთ ორი?

პიკუშმა დაიყეფა:

—ჰამ, ჰამ, ჰამ, ჰამ!

დანიუშა ვიპიხი, 8 წლის.
პოლონეთის
სახალხო რესპუბლიკა

**Данюша Випих, 8 лет.**
Польская
Народная Республика

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვა „ქართული"
ТАНЕЦ «КАРТУЛИ»



ნათია ნიშნიანიძე, 5 წლის.
საქართველოს სსრ

**Натия Нишнианидзе, 5 лет.**
Грузинская ССР



დედა-შვილი
МАТЬ И ДИТЯ

არჩილ ჯაფარიძე, 11 წლის.
საქართველოს სსრ

**Арчил Джапаридзе, 11 лет.**
Грузинская ССР



ირაკლი შაიშმელაშვილი, 12 წლის.
საქართველოს სსრ

**Ираклий Шаишмелашвили, 12 лет.**
Грузинская ССР

ჩიტები
ПТИЧКИ

# პიონერო

გინდა, კოსმოსში ფრენა?
ცაში ნავარდი გინდა?
გინდა, გაქებდეს ყველა?—
ყველას უყვარდე გინდა?—

მაშინ, ძალიან ბევრი
უნდა იკითხო, რადგან—
თუ არ ისწავლი კარგად,
ვერ აისრულებ ნატვრას.

მონიკა სტოლტენოვი
გდრ

**Моника Столтенов**
ГДР

ორთაბრძოლა
ПОЕДИНОК



ნიკო შარაშიძე, 12 წლის.
საქართველოს სსრ

**Нико Шарашидзе, 12 лет.**
Грузинская ССР

kრივი

БОКС



ზაალ დუჩიძე, 14 წლის.
საქართველოს სსრ

**Заал Дучидзе, 14 лет.**
Грузинская ССР

## ტყეში

ყმუიან მგლები, აბრუნებენ ღორები მიწას,
დახტის კურდღელი, რონინია ლამაზი ირმის,
ჩიტი ზის ხავსზე, მცირე ციყვი მიირთმევს თხილსა;
დრო გადის ასე. უსიერი ტყე არის ირგვლივ.

იაცეკ გავიაკი, 9 წლის.
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა

**Яцек Гавяк, 9 лет.**
Польская Народная Республика

ბაქო

БАКУ



თოფიკ ავაბალოვი, 7 წლის.
აზერბაიჯანის სსრ

**Тофик Авабалов, 7 лет.**
Азербайджанская ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დეიდა პალმა

ოთხი წლის ზურიკომ ქუჩაში თავისი მეზობელი დეიდა დაინახა. უნდოდა მისალმებოდა, მაგრამ სახელი ველარ გაიხსენა, მხოლოდ ისლა მოიგონა, რომ რაღაც მცენარის სახელი ერქვა. უცებ შეხტა და აღტაცებით შესძახა:

— დეიდა პალმა, დეიდა პალმა, გამარჯობათ!..

## სათვალე

პატარა ლიამ მამასთან მიირბინა და ჰკითხა:

— მამა, რატომ იკეთებ სათვალეს?

— იმიტომ, რომ უკეთესად დავინახო.

— მაშ, მეც გავიკეთებ ღამე სათვალეს, რადგან სიზმარს ძალიან ცუდად ვხედავ,—თქვა გოგონამ.

## ავტობუსში

ორი სტუდენტი ავიდა ავტობუსში. თავისუფალი მხოლოდ ერთი ადგილი იყო. ერთმა უთხრა მეორეს:

— დაჯექი!

— არა, არ მინდა, შენ დაჯექი.

— რატომ არ გინდა?

— სულერთია, ვინმეს ადგილი უნდა დავუთმო. ის მეტყვის: „გმადლობთ". მე უნდა ვუპასუხო „არაფრის". იმან უნდა გამიღიმოს, მერე მეც უნდა გავუღიმო. ამდენ ამბავს, რასაკვირველია, ვჯობს სულ არ დავჯდე.

## უცნაური შეკითხვა

თამრიკო და მია ავტობუსით მამასთან მიდიოდნენ. გვერდზე მჯდომმა ქალმა თამრიკოს ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხარ, გოგონი?

— სამის.

— ძმა გყავს?

— მყავს.

— და?

— თამრიკოს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა და კითხვას კითხვითვე უპასუხა:

— განა მე თვითონ და არა ვარ?

## ბებია

მანანას ბებია უსათვალოდ ნემსში ძაფს ვერ უყრიდა. ერთხელ ბებიამ უთხრა:

— მანანა, შენი ჭირიმე, გაუყარე ნემსში ძაფი!

— შენი სათვალე მათხოვე, ისე ხომ ვერ გავუყრი,—უპასუხა გოგონამ.

ნინო ხოფერია, 12 წლის.
საქართველოს სსრ

Нино Хоперия, 12 лет.
Грузинская ССР

## საინტერესო საქმე

გელამ წიგნი გადაშალა და რაზმების საკავშირო შეჯიბრების დებულებიდან ამოიკითხა: „თვითეულ პიონერს—მისთვის საინტერესო საქმე".

— აი, ეს კი მესმის!—ჩაილაპარაკა მან.—ყველა პიონერმა მისთვის საინტერესო საქმე უნდა გააკეთოს. თუ ასეა, სულ ფეხბურთს ვითამაშებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაშ-დაირა
ТАШ-ДАИРА



ჯამილა ხალილოვა, 15 წლის.
უზბეკეთის სსრ

**Джамила Халилова, 15 лет.**
Узбекская ССР




სერგო კოტრიკაძე
СЕРГО КОТРИКАДЗЕ

**სამსონ ლეჟავა, 6 წლის.**
საქართველოს სსრ

**Самсон Лежава, 6 лет.**
Грузинская ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სანაპიროზე

# НА НАБЕРЕЖНОЙ

ნანა გოგიჩაიშვილი, 13 წლის
საქართველოს სსრ

Нана Гогичайшвили, 13 лет
Грузинская ССР





## ქარიშხალი

ერთხელ დიდი ქარიშხალი ამოვარდა.

მდინარე ადიდდა, ნაპირი გადმოლახა და ჩვენს სახლს დაემუქრა.

მიწა ზანზარებდა. დედაჩემი ტიროდა...

მეზობლებმა გაღმა ნაპირიდან ჩვენსკენ დიდი ხე გადმოაქციეს, რომ მეორე




ნაპირზე გადავსულიყავით. ზედ გასვლა პირველად მამამ მოსინჯა. მას ტალღამ ქუდი მოსტაცა...

ჩვენ ყველანი მეორე ნაპირზე გადავედით.

სახლში გოჭები, წიწილები და ცოტაოდენი წაბლი დაგვრჩა.

მეორე დღეს უკან დავბრუნდით.

წიწილები დახოცილიყო, გოჭები ცოცხლები იყვნენ.

წაბლი? — წაბლი აღარ დაგვხვდა, — ეტყობა, გოჭებმა მოულხინეს.

ვილიამ ენრიკესი
**Вилям Енрикес**

კუბა
Куба

ეროვნული ბიბლიოთეკა



დოლი
СКАЧКИ

პატრიცია ჩიბელი, 7 წლის.
იტალია

Патриция Чибелли, 7 лет.
Италия



ჟირაფი
ЖИРАФ

ფ. იამანოხე, 7 წლის.
იაპონია

Ф. Яманохе, уч. 1-го класса.
Япония

ნინა ლოგვინენკო, 12 წლის.
უკრაინის სსრ

**Нина Логвиненко, 12 лет.**
Украинская ССР

ჩემი ქალაქი
МОЙ ГОРОД



ეროვნული ბიბლიოთეკა

## აი, ამიტომ მიყვარხარ

ბაკურიანო მთიანო
და მთებო ტყეებიანო,
ტყეებო ხეებიანო,
ხეებო ჩიტებიანო,
ჩიტებო ბარტყებიანო...
ბაკურიანო ტყიანო,
ტყეებო ირმებიანო,
ირმებო ნუკრებიანო,
ნუკრებო ხალებიანო...
აი, ამიტომ მიყვარხარ,
სამშობლოვ, მარად მზიანო!

ბადრი ჭოხონელიძე, 16 წლის.
საქართველოს სსრ

**Бадри Чохонелидзе, 16 лет.**
Грузинская ССР

# სამოცი მეტრი ფინიშამდე

მიხეილ მორჩილაძე, 16 წლის.
საქართველოს სსრ

Михаил Морчиладзе, 16 лет.
Грузинская ССР

„რატომ გისწრებს ყოველთვის სხვა. რატომ ერთხელ შენ არ უნდა მიხვიდე პირველი. რატომ? რატომ?“—ჩასძახოდა რაღაც იდუმალი ხმა სოსოს.

—გაბრიჩიძე, ათასხუთასი...

სოსო გამოერკვა, სასტარტო ტუმბოზე დადგა.

„დღესაც ვერ მივალ პირველი. ხვალ...“

„უნდა მიხვიდე,“—ჩასჩურჩულებდა იდუმალი ხმა.

—მოემზადეთ!

დაიჭექა სასტარტო დამბაჩამ. ოთხი დაჭიმული ფიგურა წყალში დგაფუნით ჩაეშვა.

რეპროდუქტორი ახრიალდა, „მარინას“ მღეროდა მიზიანო. ნოდარი ყველაზე წინ მიცურავდა. უკან მიჰყვებოდა სანდრო, ოთხიოდე მეტრის მოშორებით კი—სოსო და ვალერი. მიზიანომ „ჩაო-ჩაო მამბინო“ დაიწყო. უცებ მწვრთნელის ხმა მოესმა – სამასი დარჩა, ტემპი!

სანდრო და ვალერი ჩამორჩნენ. წინ ისევ ნოდარი მიდიოდა. გოგოებს დაემთავრებინათ შეჯიბრი და ტრიბუნაზე ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ...

...მაშინაც ნოდარი იყო წინ. სამი მოსახვევიღა იყო დარჩენილი. ნოდარი ნახევარი ტანით უსწრებდა სოსოს. ორივე შესამჩნევად დაღლილიყო. მოსახვევთან სოსომ სალტო გააკეთა, ფეხებით აიჯენა კედლიდან. სრიალი რომ დაამთავრა, გვერდზე გაიხედა, ნოდარი სრიალს განაგრძობდა.

„გაიმარჯვებ სოსო! მიდი!.. მიდი!..“ – ეძახდა იდუმალი ხმა.
—აღარ შემიძლია, ვნებდები... — ნერვიულად ჩურჩულებდნენ ტუჩები. ხელ-ფეხი კვლავ რიტმულად მოძრაობდა...
„მომიგებს!.. მომიგებს!.. სამოცი მეტრიღა დარჩა...“ ბოლო მოსახვევი, ორივემ სალტო გააკეთა, ნოდარი ჩამორჩა. საზერველივით ქშინავდა.

სოსოს ნერვიულობისაგან ეკალი დააყარა. იდუმალი ხმა მაინც არ ეშვებოდა, — ჩქარა!.. — ჩქარა!..

რიტმის გრძნობა დაკარგა. ღრმად ყვინთავდა. დარჩენილი გზა სწრაფად ილეოდა.

გვერდზე არ გაუხედავს: მაგრამ გრძნობდა, წინ მიდიოდა, ყველაზე წინ!

—სოსო, სოსოო!—ყვიროდნენ გოგოები.

ხმა იდუმალი გაჩუმებულიყო.

ძმები ზურაბ და გურამ მანაგაძეები, 13 და 11 წლის.
საქართველოს სსრ

**Братья Зураб и Гурам Манагадзе, 13 и 11 лет.**
Грузинская ССР



ტყის უცნაურობა — დირიჟორი

Лесная диковинка — дирижер

# გაუკვირდა ჩვენს მოზვერს

— ტრაქტორი ველზე დაგორავს,
ველი—ტრაქტორის საქმეა,
მაგრამ ვერ დახნავს მთა-გორებს,—
ტრაქტორს ეს ერთი ნაკლი აქვს!—
იძახის, ყველას აგონებს,
ერთი მოზვერი ავყია.

— ახ, ეს რაღაა ნეტავი?—
ამბობს მოზვერი ქებული,—
თვალი აქვს ყველგან მხედავი,
წაბლივით ჩამუქებული,
ყურები—სივრცის მკვეთავი,
ჰაერით დაგუბებული.

როცა მაღლობზე შემოდგა
ტრაქტორი „ჰხუნენ—60“,
შორიდან ისე გამოჩნდა,
რომ ხუყველანი გავვოცდით.
ტანად ჯმუხაა ტრაქტორი,
დაბალზე უფრო დაბალი,
მაგრამ გიჟური ნახტომით
ჩამოიტოვა მთა-ბარი.

ტრაქტორი, ცეცხლით მქშინავი,
ერთ დღეში იმდენს გადახნავს,
რამდენიც ხარსა გიშერას
სამ დღეს ვერ უხნავს ხანდახან,
მოზვერს კი, მთლად შეშინებულს,
მის წინ მოუწევს თავდახრა.

**სინ გი-ფონი**
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა

**Син Ги Фон**
Корейская Народная Республика

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ რევოლუციას ვჭირდებით

ჩვენ ყველანი სამშობლოს ვჭირდებით.

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ — შევასრულოთ რევოლუციის ყოველი ბრძანება.

ჩვენ არასოდეს არ ვიტყვით: „ვსწავლობ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოვიდე ექიმი!" ჩვენ ვამბობთ: „ვსწავლობ იმიტომ, რომ ეს სჭირდება სამშობლოს!"

ვინც რევოლუციას არ ეხმარება, ის არ არის კუბელი. სიკვდილი ან თავისუფლება!

ხულიან გრილაო
კუბა

Хулян Грилао
Куба

# მეგობრობის ყვავილები

ჩემი სახლის წინ არის სახლი ძალიან დიდი,
„რეზიდენცია სტუმრებისთვის" — სახელად ჰქვია,
მის წინ მრავალი ხალხი მოდის და ისევ მიდის,
როცა ქალაქში ზეიმის დღეა.

აქ ააშენეს თაღები და დროშა აზიდეს,
აქ თავს იყრიან მოღვაწენი ყოველი ქვეყნის,
აქ, პატარები, უძვირფასეს კუბის პრეზიდენტს —
ძია ოსვალდო დორტიკოსს შევხვდით.

რა კარგი არის ყვავილები მარადი ძმობის, —
ყველგან ყვავოდნენ მსოფლიოში, მთაში თუ ბარად
ჩვენ განვიმტკიცოთ ერთმანეთის ნამდვილი ნდობით,
რათა მშვიდობა მეფობდეს მარად!



ლი მინ ცზიანი, 12 წლის.
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

Ли Мин Цзян, 12 лет.
Китайская Народная Республика

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცირკში В ЦИРКЕ

მარგარიტა ჩოუტი, 11 წლის.
ინგლისი

Маргарита Чоут, 11 лет.
Англия

# ზამთრის საღამო

სუსანა ავაკიანი, 11 წლის.
სომხეთის სსრ

Сусана Авакян, 11 лет.
Армянская ССР

დიდი მთები დაბურულა ნისლით,
თეთრ ნაბდებში მოღუშულან მთანი,
ბილიკები ისწრაფვიან ტყისკენ,
მგლის ფეხებით დაჭორფლვიათ ტანი.

ფანტელები ეშვებიან ციდან,
ისე ნაზად, როგორც თეთრი რიდე,
შებინდებაც გვეპარება მშვიდად
და საღამო ეფინება მინდვრებს.



ოქტომბრელებთან С ОКТЯБРЯТАМИ

კრისტა მუსტკივი, 10 წლის.
ესტონეთის სსრ

Криста Мусткиви, 10 лет.
Эстонская ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი

ЗИМА



გ. დოლენჯიშვილი

საქართველოს სსრ

Г. Доленджишвили

Грузинская сср



ალბერტო ჩეკანი, 10 წლის.
იტალია

Алберто Чекани, 10 лет.
Италия

ესტრადაზე
НА ЭСТРАДЕ

## ზამთარი

ანია კაზაჩენკო, 12 წლის.
უკრაინის სსრ

**Аня Казаченко, 12 лет.**
Украйнская ССР

ეზო და ქუჩა თოვლმა დაფარა,
მოიკალათა ყველგან ზამთარმა,
შრიალებს ფიფქი,
უბერავს ქარი,
თოვლზე მარხილმა დატოვა კვალი..
მოწყენით დგანან არყის ხეები
და მოლოდინში გადის დღეები.



არლეკინი
АРЛЕКИН

ჟ. დ. 5 წლის.
საფრანგეთი

**Ж. Д. 5 лет.**
Франция

## საყვარელი სურათი

ჩემს საწოლთან ლეონარდო და ვინჩის „მადონა ლიტას“ სურათი ჰკიდია. მარიამს მუხლებზე უწევს იესო ქრისტე და ძუძუს აწოვებს. იგი დაჰყურებს ქრისტეს და იღიმება. არა, კი არ იღიმება, მე მეჩვენება, რომ იღიმება. ეს სურათი მე ძალიან მიყვარს, იმიტომ რომ მადონა ლიტა ჩემს დედას ჰგავს.

ერთხელ ეს ვუთხარი კიდეც დედაჩემს, მას გაეღიმა.

— იცი,—მითხრა მან,—როცა პირველად ერმიტაჟში ამ სურათის ორიგინალი ვნახე,—მეც დედაჩემს მივამსგავსე.

მე გამეცინა. სულაც არ ჰგავდა მადონა ლიტა ჩემს ბებიას,—იგი დედას ჰგავდა...

ერთ დღეს პატარა ბიძაშვილი მესტუმრა. სკოლის ამბები გამოვკითხე, მერე ზღაპრების წიგნი მივეცი და რაღაც საქმეზე გარეთ გავედი. ოთახში რომ შევბრუნდი, ვხედავ,—ზის ბავშვი და დიდი თვალებით მადონა ლიტას სურათს მისჩერებია.

—რა იყო, კახა?—ვკითხე მე.

პასუხი არ გამცა.

— მოგწონს?—

— ეს ჩემი დედიკოა,—თქვა მან.

ჯენარო ლუხუტაშვილი, 16 წლის.
საქართველოს სსრ

**Дженаро Лухуташвили, 16 лет.**
Грузинская ССР

კოსმონავტთან შეხვედრა
ВСТРЕЧА С КОСМОНАВТОМ




პეტია ფიდლერი, 7 წლის.
უკრაინის სსრ

**Петя Фидлер, 7 лет.**
Украинская ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა



დინოზავრი
ДИНОЗАВР



მეფისტოფელი
МЕФИСТОФЕЛЬ

ტყის უცნაურობანი
Лесные диковинки

ძმები ზურაბ და გურამ მანაგაძეები, 13 და 11 წლის. საქართველოს სსრ

Братья Зураб и Гурам Манагадзе, 13 и 11 лет. Грузинская ССР

## ზღაპარი ვარდზე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა. მას მაია ერქვა. იგი ადრე დაობლდა და დარჩა ბოროტი დედინაცვლის ამარა.

ერთხელ წყაროდან იმდენი წყალი აზიდვინეს, რომ დაღლილ-დაქანცულ გოგონას კოკა ხელიდან გაუვარდა და გაუტყდა. დედინაცვალი მოსაკლავად დაედევნა.

მინდორ-მინდორ გარბოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იადონი

მწვანე ბაღში, სადაც ვარდები და ყაყაჩოები ჰყვაოდნენ, ერთ მაღალ ჭადარზე ბუდე იყო. ბუდეში სამი იადონი ცხოვრობდა — მამა, დედა და მათი შვილი, რომელსაც სახელად წიაწანიკი ერქვა. წიაწანიკი ლამაზი იყო, გულმკერდი თეთრი ჰქონდა, კისერი — ცისფერი, ტანი — ღია მწვანე, ფრთები — ყვითელი, თავი — თეთრი. ისეთი ნაზი ხმით ჟღურტულებდა, რომ მეზობელ ბულბულებსაც კი შურდათ.

წიაწანიკმა ჯერ არ იცოდა ფრენა. ჩამოჯდებოდა ხის ტოტზე და ელოდებოდა დედ-მამას. ერთხელ კინაღამ ხიფათი შეემთხვა. ის იყო ტოტზე ჩამოჯდა და დაიჟღურტულა, რომ უეცრად ბუდე შეირყა. შეშინებულმა წიაწანიკმა ქვევით გადმოიხედა; ხის ძირას ბავშვები იდგნენ და ქვებს ესროდნენ ბუდეს. რა ექნა წიაწანიკს? გაახსენდა მშობლების ნათქვამი, — ტკბილი სიმღერა გარეულ მხეცებსაც კი ამშვიდებსო; მაშასადამე, უნდა ვიგალობო, -- გაიფიქრა ჩიტუნამ, — ბავშვები სიმღერით უნდა მივახვედრო, რომ ცუდად იქცევიან... და დაიწყო წიაწანიკმა ჭიკჭიკი: „მეც პატარა ვარ, თქვენზე უფრო პატარა, მეც თქვენსავით მინდა სიცოცხლე, მეც მიყვარს მზე, მწვანე ხეები, ყვავილები. მსურს ვიფრინო, მთელი ქვეყანა ვნახო... თქვენ კი გინდათ, ბუდე დამინგრიოთ. რატომ?"

სიმღერამ არ გასჭრა. უსულგულო ბავშვები კვლავ განაგრძობდნენ ქვების

---

მაია, თვითონაც არ იცოდა სად. შესცქეროდნენ საბრალო გოგონას ყელმოღერებული ყვავილები და თანაგრძნობით თავს უხრიდნენ.

ყვავილების დანახვაზე გოგონამ ინატრა: ნეტავი ყვავილად მაქციაო. უცებ იგი მიწამ ჩაიკრა მკერდში. როცა გოგონა გაუჩინარდა, მის ნაცვლად მიწიდან მოზრდილი ბუჩქი ამოიზარდა. მას წითელი ფერის სურნელოვანი ყვავილები ამკობდნენ. ყველას მოეწონა იგი, ვარდი უწოდეს და ყვავილთა დედოფლად აკურთხეს.

ერთხელ ვარდის ბუჩქის მახლობლად მანანას დედინაცვალმა ჩაიარა. მან ხარბად გაიწოდა ხელი ვარდის მოსაწყვეტად. რა იცოდა, რომ იგი მანანა იყო.

ვარდს კი სიძულვილისაგან შეაჟრჟოლა და უცნაური ხორკლები გაუჩნდა სხეულზე. როდესაც ქალმა ხელი წაატანა ყვავილის ღეროს, ტკივილი იგრძნო. ეკლებმა თითები ისე დაუჩხვლიტეს, რომ სულ სისხლი ადინეს.

მას შემდეგ ვარდი ეკლებს აღარ იცილებს,—ვაითუ დედინაცვალმა ხელი წამატანოსო.

**მანანა ხელაია, 11 წლის.**
საქართველოს სსრ

**Манана Хелаиа, 11 лет.**
Грузинская ССР

ვაჰამ მიქელიანი, 12 წლის.
სომხეთის სსრ

**Ваграм Микалеян, 12 лет.**
Армянская ССР

ხროლას. სადაცაა ბუდესაც მოარტყამდნენ, ხმაურზე მეზობლის ძაღლს რომ არ გამოღვიძებოდა და საში-ნელი ყეფით არ გაერეკა ონავრები.

— გმადლობთ, — ჩამოსძახა წიაწანიკმა, — ამიე-რიდან, როცა დაგეძინება, ყოველთვის გიმღერებ, რომ ტკბილი სიზმრები ნახო.

ძაღლმა, თითქოს გაიგონაო ჩიტუნას ნათქვამი, მხიარულად გააქნია კუდი. სწორედ ამ დროს წიაწანიკის მშობლები დაბრუნდნენ. როცა ყველაფერი გაიგეს, ძალზე შეეშინდათ. გადაწყვიტეს, ბარტყი ბუდეში მარტო აღარ დაეტოვებინათ.

— ყველაფერს აჯობებს, წიაწანიკმა ფრენა ისწავლოს, — თქვა მამამ.

— ჯერ ადრეა, — შეეკამათა დედა, — ჩვენი წიაწანიკი ძალიან პატარაა.

— რას იზამ, სხვა გზა არ არის, — ამოიოხრა მამამ.

რამდენიმე დღის შემდეგ მშობლებმა წიაწანიკი ბუდიდან გამოიყვანეს და დაარიგეს, როგორ უნდა ეფრინა.

მაგრამ სულ მალე დიდი უბედურება დაატყდათ იადონებს: კაკანათში გაებ-ნენ. ვიღაც საზარელმა კაცმა წიაწანიკის მშობლები გალიაში ჩასვა, თვითონ წიაწანიკი რატომღაც შეებრალა და გაუშვა. გალია ბაზარში წაიღო. წიაწანიკი უკან დაედევნა. ბაზარში, ერთმა დედაბერმა გალია იადონებიანად იყიდა, ჩაჯდა მანქანაში და შინისაკენ გასწია. წიაწანიკი ველარ დაეწია და ძალზე დაღონებული დაბრუნდა თავის ბუდეში. მთელი ბაღი გლოვობდა, ყველა იზიარებდა წიაწანი-კის დარდს.

წიაწანიკმა ბევრი იტირა, დაიღალა და ჩაეძინა. საოცარი სიზმარი ნახა: უკვე გაზრდილიყო და დედ-მამასთან ერთად თბილ ქვეყნებში მიფრინავდა. აი, ეგ-ვიპტეში არიან, გადაუარეს მდინარე ნილოსს. ასეთი დიდი მდინარე არასოდეს ენახა; გზაზე აქლემების ქარავნები მიდიოდნენ ზანზალაკების წკარუნით. წიაწა-ნიკმა სცადა თავისი გალობა ზანზალაკების ხმისათვის მიემსგავსებინა... უეცრად გამოეღვიძა. უფრო დადარდიანდა. გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მშობლები ეპოვნა და ტყვეობიდან დაეხსნა. გაფრინდა ქალაქისკენ. არ გაუშვია არც ერთი სახლი, აივანი, ფანჯარა, რომ არ შეეხედა, მაგრამ ვერა და ვერ მიაგ-ნო მშობლების გზა-კვალს. ის იყო უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ მაღალ აივანზე ნაცნობ გალიას მოჰკრა თვალი. აივანი შუშაბანდიანი იყო. რა ექნა? ეხეთქებოდა მინებს და უკანვე ვარდებოდა. მშობლებმა დაინახეს წიაწანიკი. კიდეც გაეხარდათ, კიდეც დაღონდნენ.

— გაიქეცი, გაიქეცი, წიაწანიკ, — შესძახეს მშობლებმა, — თორემ შენც დაგამწყვდევენ.

— არა, მე უთქვენოდ სიცოცხლე არ მინდა. ან გაგანთავისუფლებთ, ან მეც თქვენთან დავრჩები.

ამ დროს წიაწანიკმა შეამჩნია, რომ სარკმელი გაიღო. მაშინვე შეფრინდა შიგ და გალიას ეცა. უეცრად გალიის კარის საკეტზე მოუხვდა ფეხი და მოხდა სას-წაული: კარი გაიღო. იადონები ელვის სისწრაფით გამოფრინდნენ გალიიდან და საყვარელ ბაღისკენ გასწიეს. ო, რა ბედნიერებაა — იყო თავისუფალი, იფრინო და იმღერო თავისუფლად!..

მაგდა გულიევა, 6 წლის.
აზერბაიჯანის სსრ

Магда Гулиева, 6 лет.
Азербайджанская ССР



მელია

ЛИСИЧКА



ფაიფურის ფაბრიკა

მასუკო-იაკი, 7 წლის.
იაპონია

ФАРФОРНАЯ ФАБРИКА
**Масуко-Иаки, 12 лет.**
Япония



დღესასწაული
ПРАЗДНИК

სენუბარ მამედოვა, 6 წლის.
აზერბაიჯანის სსრ

Сенубар Мамедова, 6 лет.
Азербайджанская ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჰიმნი მშვიდობას

…და როგორც მთის ზვავის ზათქი და ქუხილი—
გუგუნებს ხალხის ხმა, მართალი, წმინდა:
„არ გვინდა სისხლისღვრა, ძირს გლოვა-წუხილი,
მშვიდობა გვინდა!“

დღესაც არ შემშრალა ის ცრემლი, რომელიც
წამწამებს დაჰკიდა წარსულმა ომმა…
არ გვინდა სისხლისღვრა, დარდი და წუხილი,—
ჩვენს გულებს სწყურიათ სწავლა და შრომა!

ნოდარ ნონიაშვილი, 15 წლის.
საქართველოს სსრ

**Нодар Нониашвили, 15 лет.**
Грузинская ССР

დაისი
ЗАКАТ

ვოვა გრიშანოვიჩი, 9 წლის.
ბელორუსიის სსრ

**Вова Гришанович, 9 лет.**
Белорусская ССР





# ცხენები

მტვრიან გზაზე მიჰქრიან
დაოთხილი ცხენები,
მიგელაობს კარეტა
თავაწყვეტილ ჭენებით.

არე-მარეს აყრუებს
ხათქა-ხუთქი ფლოქვების,
უკან რჩება კარეტას
ნაცრისფერი ბოლქვები.

მიგელავენ ცხენები
თავაწყვეტილ ჭენებით.

კოსტია, 9 წლის.
ლენინგრადი

Костя, 9 лет.
Ленинград



კოლეტ გინენი, 13 წლის.
საფრანგეთი

Колет Гинен, 13 лет.
Франция

პარიზი
ПАРИЖ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შალვა მასწავლებელი



პორტრეტი ПОРТРЕТ

დიან უილკინსონი, 12
ინგლისი

**Диан Уилкинсон, 12**
Англия

ადრიანი გაზაფხულის დილაა. ჭაღარა კაცი გაკვეთილს გვიხსნის. აი, მან ახსნა დაამთავრა და საათს დახედა. დრო კიდევ დარჩენილიყო. წუთით ჩაფიქრდა და მერე...

— ყმაწვილებო, რეაქტიულ ძრავებთან დაკავშირებით ერთ შემთხვევას გიამბობთ; ერთხელ თვითმფრინავებს ვამოწმებდი მორიგი ბრძოლის წინ...

სიტყვა ვერ დაამთავრა, ზარის ხმა გაისმა. მასწავლებელს შემოვეხვიეთ და ვთხოვეთ, განეგრძო საუბარი. იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა...

* * *

... უსიხარულო ბავშვობა მთიან მუხურაში... მენშევიკების პარპაში... და ბოლოს—1921 წელი. სოფელი აღფრთოვანებით ეგებება წითელ არმიას. ელვისებური სისწრაფით გარბიან წარსულის სურათები: ოთხწლედის დამთავრება, სწავლის უსაზღვრო სურვილი, შვიდწლედი ქუთაისში...

მოგონებებში წასულ შალვა მასწავლებელს თვალები გაუბრწყინდა,—მოაგონდა, როგორ ღელავდა კომკავშირში მიღების დროს... შემდეგ ისევ მოგონებათა მთელი სერია... საყვარელი მასწავლებლები: იოსებ ხათრიძე, სიმონ ოცხელი, ტექნიკუმის გამოსაშვები საღამო.

გაიხსენა გროზნო, ნავთობის მრეწველობის ინსტიტუტი. პირველად გაუჭირდა ქართველ ჭაბუკს რუსულ ენაზე სწავლა, მაგრამ მეგობრებისა და გულისხმიერი პროფესორ-მასწავლებლების

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკოლისაკენ

В ШКОЛУ

**სიმა აგაპოვა, 13 წლის.**
საქართველოს სსრ

**Сима Агапова, 13 лет.**
Грузинская ССР

დახმარებით მალე დაძლია ეს დაბრკოლება და ინსტიტუტის საუკეთესო სტუდენტი გახდა.

მოგონებათა კადრები ისევ იცვლებიან... ისევ გროზნო, განუშორებელი მეგობარი მიხეილ კაპრალოვი. აგერ, ქამთასვლისაგან გაყვითლებული ფურცელი, რომელშიც შალვა ბარბაქაძე დახასიათებულია, როგორც აქტიური კომკავშირელი და მოწინავე აგიტატორი.

თვალწინ გაურბინა მოსკოვის სამხედრო აკადემიაში გატარებულმა ორმა წელმა და... მასწავლებელი შეჩერდა, სახეზე ჩრდილმა გადაუარა. კარგა ხანს სდუმდა. მოიგონა 1941 წლის 22 ივნისის წყნარი დილა ხარკოვის ოლქში, ჩვეულებრივ ლამაზი დილა, როგორც ეს ხშირად იცის ზაფხულში. ნიავი ქროდა და ნელა არხევდა ცადაწვდილი ხეების ფოთლებს. გაკრიალებულ ცაზე ერთი ნამცეცი ღრუბელიც არ მოიძებნებოდა. მინდორში გამოსული შალვა რაღაც წარმოუდგენელ სიტკბოებას მოეცვა, განძრევისაც კი ეშინოდა,—არ დავაფრთხო ნაზი ბულბული და ველის კონცერტი არ შევწყვიტოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და უცებ, გაისმა საგანგაშო სირენის ხმა... დაიწყო ომი.

რამდენჯერ პირისპირ შეხვედრია სიკვდილს შალვა ბარბაქაძე, რამდენჯერ ჩავარდნილა საფრთხეში, მაგრამ არ შემდრკალა, ყოველთვის პირნათლად ასრულებდა დავალებას.

ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის შალვამ მრავალი ჯილდო დაიმსახურა: ერთი მათგანი, წითელი ვარსკვლავის ორდენი, შორსმოქმედი ავიაციის შენაერთის ტექნიკური ხელმძღვანელობისათვის მიიღო.

... გადაიქროლა ბრძოლების წლებმა. საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილად დაამთავრა სამამულო ომი. შალვა ბარბაქაძე, როგორც საუკეთესო სპეციალისტი მოსკოვის სამხედრო აკადემიის ერთ-ერთი განყოფილების უფროსად დატოვეს. მან ჩვეული მონდომებით დაიწყო მომავალი მეთაურების აღზრდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ველარ შეძლო მოსკოვში მუშაობა. ქუთაისში დაბრუნდა. შრომისმოყვარე კაცმა უქმად ყოფნა ვერ აიტანა და კვლავ ჩაება შრომის ფერხულში. რამდენი მღელვარება, რაოდენი სიხარული განიცადა მან, როცა ქალაქში პირველმა ტროლეიბუსმა გაიარა. ამ საქმის განხორციელებაში მას, როგორც სამმართველოს

ინჟინერსა და პარტორგანიზაციის მდივანს, გარკვეული წვლილი მიუძღვის.

შემდეგ სატყეო ტექნიკუმში მასწავლებლად მუშაობის პერიოდი მოიგონა.

ბოლო ხანებში, ავეჯის ფაბრიკაში ინჟინერ-ინსტრუქტორად და მანქანათმცოდნეობის მასწავლებლად მუშაობდა. აქ იგი საბოლოოდ დაუბრუნდა მანქანათმცოდნეობის სპეციალობას, რაც მისი ბავშვობის ოცნება იყო.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია შალვა ბარბაქაძეს, გამოირჩეოდა თავდადებული შრომით, თავაზიანობით და დიდ სიყვარულს იმსახურებდა.

აი, რას წერს შალვას მისი ყოფილი მოსწავლე, ამჟამად სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ ვერხოტურსკში მცხოვრები ვარია ფედოტოვა. „შალვა ილიას ძევ! თქვენ ყოველთვის გვახსოვხართ. თქვენ იყავით ჩვენი მასწავლებელიცა და მამაც. ჩვენ დიდად ვართ თქვენგან დავალებული“.

... ჩვენი საუბარი დამთავრდა, შალვა მასწავლებელს დავემშვიდობე. ჭიშკართან რომ მივედი— უკან მივიხედე. იგი კიბეზე იდგა. ქარი ოდნავ ურხევდა ლამაზად გადავარცხნილ ჭაღარას.

**რუბენ ენუქაშვილი, 14 წლის.**
საქართველოს სსრ

**Рубен Энукашвили, 14 лет.**
Грузинская ССР



ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ Ტ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ
**АКТЕР Т САКВАРЕЛИДЗЕ**

მეგობრული შარჟი 11 წლის **რამაზ საყვარელიძისა**
საქართველოს სსრ

**Дружеский шарж 11-летнего Рамаза Сакварелидзе**

## ᲛᲐᲛᲐ ᲗᲘᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲭᲐᲛᲡ

პატარა ბიჭი მთიბავთან მივიდა და თხოვა:

— თუ შეიძლება მომეცით ერთი იღლია თივა.

— მამაშენს უნდა?

— არა, ცხენს.

ინგლისურიდან თარგმნა
**ვ. ამაღლობელმა, 13 წლის.**
საქართველოს სსრ

Перевел с английского
**В. Амаглобели, 13 лет.**
Грузинская ССР

# იუმორი

პარიზის ერთ-ერთ ქუჩაში პოლიციელმა მტირალი გოგონა შენიშნა, მივიდა და დაუყვავებით მკითხა:

— სად ცხოვრობ, ჩემო პატარავ?

— დედასთან.

— შო მაგრამ, დედა სად ცხოვრობს?

— მამასთან.

— მამა სადღა ცხოვრობს?

— სახლში.

* * *

სადილობისას ვიქტორს ყოველთვის ცალკე დასვამდნენ ხოლმე პატარა მაგიდასთან.

— როცა ულვაშები გაგეზრდება, მაშინ ისადილებ ჩვენთან ერთად, დიდ მაგიდაზე.—ეუბნებოდა მამა.

ვიქტორს სწყინდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ერთხელ, სადილობისას, ოთახში კატა შემოვიდა და გემრიელი ნაჭრის მოლოდინში ვიქტორს კრუტუნით გაეხახუნა. მაგრამ ვიქტორი გაჯავრდა, ფეხი მკრა და გააგდო:

— შენ ულვაშებიანი ხარ, წადი დიდებთან, დიდ მაგიდაზე ისადილე!

ფრანგულიდან თარგმნა მანანა კუხალეიშვილმა
საქართველოს სსრ

Перевод с французского
Мананы Кухалейшвили
Грузинская ССР

## ექვსი საათი

მგზავრმა რკინიგზის სადგურზე მტვირთავს უთხრა:

— ექვსი საათი გაქვთ და ექვსივე სხვადასხვა დროს უჩვენებს.

— აბა რა საჭიროა ექვსი საათი, თუ ყველამ ერთი და იგივე დრო უჩვენა?—უპასუხა მტვირთავმა.



ЗЕБРА

ზებრა

სვიატოსლავ მასლენიკოვი, 10 წლის.
რსფსრ

Святослав Маслеников, 10 лет.
РСФСР

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარეული ღორები

ეს მოხდა ზამთრის ერთ მშვენიერ დღეს...

ფიფქები უხმოდ ცვიოდნენ მიწაზე. უცებ ჩიტების ჟივილ-ხივილი მომესმა: რაღაც ეპოვნათ და იმის ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ.

ქუჩაში გამოვედი. ამხანაგებს დათქმული გვქონდა, — თავი მოგვეყარა და თხილამურებით გაგვესეირნა. ყველა თავის დროზე მოვიდა და გზას გავუდექით. გზა ტყეზე გადიოდა. ირგვლივ ბუჩქები და ნაძვები იყო. უცებ... მოგვესმა ტკაცუნი, ქშენა და ღრუტუნი. ერთ წამს შეცბუნებულნი ვიდექით. გარეული ღორები გვეგონა. ხეზე ავცოცდით. მართლაც გამოჩნდა ღორების მთელი კოლტი, რომელსაც წინ მოუძღოდა ვეება ტახი. ჩვენ სუნთქვასაც ვერ ვბედავდით. წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე ვდავდგებოდით, როცა დავინახეთ, როგორ სუნავდნენ ისინი ხის ძირებს. იმის გამო, რომ ღორებს მაღლა ახედვა არ შეუძლიათ, ვერ შეგვნიშნეს და გზა განაგრძეს. ხიდან პანტა-პუნტით ჩამოვცვივდით.

სწრაფად მოვირგეთ თხილამურები და უმოკლესი გზით მოვცოცხეთ სახლისაკენ.

გუინთერ ლიუერტი, 7 წლის.
გდრ

**Гюнтер Люуерт, 7 лет.**
ГДР



ღორი
СВИНЬЯ

ნათია ნიშნიანიძე, 5 წლის.
საქართველოს სსრ

**Натия Нишнианидзе, 5 лет.**
Грузинская ССР

ბარაქიანი სიმინდი
БОЛЬШАЯ КУКУРУЗА




ო. დობრიაკი, 10 წლის.
უკრაინის სსრ

О. Добряк, 10 лет.
Украинская ССР

ოქტომბრელებთან
С ОКТЯБРЯТАМИ




კრისტა ვალასაარი, 6 წლის.
ესტონეთის სსრ

Криста Валласаар, 6 лет.
Эстонская ССР

# ფიფქი

მანანა ხელაია, 10 წლის.
**Манана Хелая, 10 лет.**

საქართველოს სსრ
Грузинская ССР

მე ფიფქი ვარ, ფიფქი, — ლაჟვარდ ცაში შობილი. იქ დაიბრწა ჩემი აკვანი და იქვე ავიდგი ფეხი. იქ დავმშვენდი და გავლამაზდი. მართალია, შორიდან მხოლოდ ფაფუკი ბამბის ფთილას ვგავარ, მაგრამ მოდი, ახლოდან დამაკვირდი! იცი რა ლამაზი ვარ?! ბამბასავით თეთრი, ვარსკვლავს ვგავარ. პატარები ხშირად ხელზე მისვამენ და ისე მეალერსებიან. მე კი არ მიყვარს ასეთი ალერსი... რატომ? იმიტომ რომ ხელი თბილია და მე უცებ ცრემლად ვიღვრები. მე მინდა რომ ყველაფერი ეს ვუამბო პატარებს, მინდა, მაგრამ რა ვქნა, რომ პაწაწინა ვარ,— ჩემი ნაზი ხმა არავის ესმის...

ეჰ!.. სჯობს ჩივილს თავი დავანებო და კარგი მოვიგონო: არ გეგონოთ, რომ ჩემი სიცოცხლე ყოველთვის ასე ხანმოკლეა. ხშირად მე ბინა ტყეშიაც მიპოვნია მაღალი, ტანწერწეტა ნაძვის ტოტზე. იქ მე არხეინად ვატარებ ზამთარს,—ვიცი, რომ ნაძვი მზეს ჩემამდე არ ჩამოუშვებს. მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს. დადგება ზაფხული და ჰერი... გაფრინდება ახალგაზრდობა. მზე მოურიდებლად დამაცხუნებს თავის სხივებს, დამაცხუნებს და ამატირებს. ცრემლად დაღვრილი, იქვე მორაკრაკე ნაკადულს შევუერთდები, მაგრამ არ გეგონოთ, რომ სამუდამოდ, არა! როცა ნაკადულთან ერთად ტრიალ მინდორზე გავალ, მზე კვლავ მაღლა ამიტაცებს, ცაში ამიყვანს, იქიდან კი ხელახლა იწყება ჩემი თავგადასავალი.



ბანანი
БАНАН

ვანი, 15 წლის.
ვიეტნამის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა

**Ван, 15 лет.**
Демократическая Республика Вьетнам



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანა ისაკაძე

ЛИАНА ИСАКАДЗЕ

ფოტოეტიუდი ბორის სურმავასი
საქართველოს სსრ

Фотоэтюд Борнса Сурмава.
Грузинская ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა



მონიკა ბოდე, 12 წლის.
საფრანგეთი

Моника Боде, 12 лет.
Франция

პარიზის უბანი

КОНСЕРЖЕРИ В ПАРИЖЕ

ბოგუსლავი, 11 წლის.
პოლონეთის სახალხო რესპუბლ...

Богуслав, 11 лет
Польская Народная Республика

ორთქლმავალი

ПАРОВОЗ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენზე ვფიქრობ

ახლა შენგან შორსა ვარ და შენზე ვფიქრობ, ჩემო პატარა სოფელო!

ჩემო სუფსავ, შენი ლაღი ტალღების ხალისიანი სიმღერა ჩამესმის.

ვხედავ ჩემს პატარა, ლამაზ ეზოში ერთმანეთზე გადახლართულ ვაზს, ბჟოლას რომ შემოხვევია.

ძველ, მამაპაპურ მარანთან დაფნების სურნელებას ვგრძნობ.

გურულ კაცს ვხედავ, ახალმოხდილ ჭურთან ადესით სავსე კოპე რომ უჭირავს ხელში.

მესმის ბალახების, ფოთლების და ცისფერი ჰორტენზიების ფრთხილი ჩურჩული:

არ მოშალოთ ძველი ფუძე,
არ მოშალოთ ძველი კერა.

კრიმანჭული მესმის, ორღობეებში მხარზე თოხგადებული გურულები რომ მღერიან.

ჩაის მკრეფავ, ჭილისქუდიან გოგოებს ვხედავ, აკვანათის ჩაყვავებულ ბილიკებს რომ მიუყვებიან.

პაწაწინა წისქვილის სარეკელას სიმღერაც მესმის, კუზიანი მეწისქვილის ღიღინიც:

ჩვენი პატარა გურია
ვარდების თაიგულია.

მახსენდები, ჩემო სოფელო, ჩემო სუფსავ, და გული არ ითმენს...

ისევ მინდა ჩქარა გნახო, მოვიდე შენთან...

გადავაბიჯო პატარა ღელეს, შევაღო ჩემი ეზოს ძველი ჭიშკარი და შევიდე იქ, სადაც ყველაფერი წინაპრის სუნთქვით სუნთქავს, სადაც ყველაფერი უწმინდესი გრძნობით მანთებს და მათბობს!

ნინო რამიშვილი, 13 წლის.
საქართველოს სსრ

Нино Рамишвили, 13 лет.
Грузинская ССР



მწუხრი
ВЕЧЕР

მ. ახლანიანი, 13 წლის.
საქართველოს სსრ

М. Асланиани, 13 лет.
Грузинская ССР


რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, როსტომ ელანიძე, იაგო ვარდოსანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჯუანშერ ქვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ზურაბ ლეჟავაშვილი (პ/მგ. მდივანი,) მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.) გიორგი შატბერაშვილი

გარეკანი და მაკეტი გ. ფოცხიშვილისა

ჩვენი მისამართი:
თბილისი,
პლეხანოვის, 91
ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции:
Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 11902 ტირ. 32.000. ბირ. ფორ. რაოდ. 4 1/2, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწ. დასაბ. 2/VII-63 წ.
სტამბის შეკვ. 1319. გამომც. შეკვ. 80. საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობის სტამბა № 1

ფასი
20
კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

14 წლის ვიეტნამელი ბიჭის ნახატი.

Рисунок 14-летнего Вьетнамского мальчика

ყავისფერი აფრები

КОРИЧНЕВЫЕ ПАРУСА

65306

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა




სსრკ




იტალია



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა



ვიეტნამის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა



კუბა




საფრანგეთი



ინგლისი




კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა




პოლონეთი

